ნანტი — პსჟ, შატორუ — დიფონი
მატჩები გაიმართება 27-28 აპრილს

რუსეთი

პრემიერლიგა. II ტურის შედეგები

- ტ. მთაწკრივი 1:1 ხანტი
0:1 კერეკოვი (26), 11 ბუდუნოვი (68)
როტორი 3:2 კრილია სოვეტოვი
1:0 კრილოვი (9), 1:1, 1:2 კარიბა (11, 50), 2:2, 3:2 ბონდარენკო (68, 78)
როსტოვი 0:0 შინიკი
ყუბანე 1:0 რუბინი
1:0 აკენოვი (16)
ლოკომოტივი 0:0 ამაპარი
დინამო 1:1 ცსკა
1:0 ბატაი (8), 11 კირიჩენკო (57)
ალანია 0:0 ტორპედო
სატურნი 2:2 სპარტაკი
0:1 პარფიონოვი (21), 11 მდვადევი (52), 2:1 პეტროვიჩი (68ს.კ.), 2:2 პეტროვიჩი (88)

ჩემპიონატის დასაწყისში ასე ბევრი ფრე რუსეთს არ ახსოვს. ძალიან მშვიდობისმოყვარულნი გამხდარან რუსული კლუბები და ქულებს ხალისით ინაწილებენ.

ნიხლი ნიხლის ნილ

პრემიერლიგის მეორე ტურის შემდეგ ლიდერობა-აუტსაიდერობაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმც აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მალე ცხრილის თავში ტრადიციულად მოსკოვის გუნდები მოექცევიან.

მორიგი დედაქალაქური დერბი ზავით დასრულდა. ჩეხი გუბიკის „დინამო“ პორტუგალიელი ჟორჟეს ცსკა-ს შეხვდა და უმაღლ დაწინაურდა. არმიელთა ნახევარზე საჯარიმო დაინიშნა, რომელიც ბატაკმა შეასრულა, ბურთი კედლის კედელში მდგომ აღდონინს მუხლში მოხვდა, მიმართულება იცვალა და აკინფევის კარში შევარდა.

ცსკა-მ შესვენებამდე თამაში ვერ ააწყო. ერთადერთი გამორჩეული მათ შორის არგენტინელი მცველი ფერეირა გახლდათ. ლეგიონერი

დროდადრო შეტევაში ფლანგიდან ერთვებოდა.

„დინამოს“ არტურ ჟორჟეს შეგირდთა დაბნეულობა არ გამოუყენებია, თორემ პირველი ტაიმში ანგარიშში სხვაობის გაზრდას შეძლებდა.

არმიელებს წინა ხაზზე იმიტომ უჭირდათ, რომ მთავარმეოლე ივიცა ოლინი აკლდათ ტრავმის გამო, მაგრამ მეორე ნახევარში ცსკა გამოსწორდა და კიდევ გაათანაბრა. ჟორჟეს დარტყმული ბურთი მცველისგან კირიჩენკოსთან მოხვდა, რომელმაც ბერეზოვსკის შანსი არ დაუტოვა.

ამ გოლამდე ხუთი წუთით ადრე მეტოქეები კაცნაკლულნი დარჩნენ. ბულიკინმა და იგნაშევიჩმა იჩხუბეს ნაკრების ორივე მოთამაშე გააძევეს და ალბათ რამდენიმე მატჩიან დისკვალიფიკაციას აკიდებენ. მოჩხუბრები ერთმანეთს ბურთის პერში შეეჯახნენ. ძირს დაშვებულმა იგნაშევიჩმა მეტოქეს ფეხი ჰკრა და ბულიკინმაც ხურდა დაუბრუნა.

ვიჩეხელ გუბიკი: „ისევ უვარგისი მოედანი იყო, მაგრამ გუნდმა მინც კარგად ითამაშა. ჩვენ გაცილებით მეტი სავალე მომენტი შექმენით. „დინამოს“ მომატება ნამდვილად შეუძლია და უახლეს ტურებში თავად ნახავთ.“

რამენსკოეში „სატურნი“ „სპარტაკს“ უმასპინძლა და მეტოქეები იქაც ზავით გაიყარნენ. მასპინძელთა მეკარე კორნიუხინმა საჯარიმოში კირიჩენკო წააქცია და პენალტი პარფიონოვმა შეასრულა.

მეორე ტაიმში ვიქტორ ონოპკოს თავური კოვალევსკიმ მოიგერა, მაგრამ დამატებაზე შედეგდება იყოჩაღა და გაათანაბრა.

შემდეგ სპარტაკელ პეტროვიჩს


არ გაუმართლა — ბურთი საკუთარ კარში შეაგორა. უიღბლო პეტროვიჩმა შეცდომა შეხვედრის მიწურულს გამოასწორა, უზადო საჯარიმო დარტყმით ცხრიანში გაიტანა.

ვოლგოგრადში „როტორმა“ სამარელებს სამი ქულა გამოჰგლიჯა. მასპინძლები კრიოვიის გოლით მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, მაგრამ მსაჯმა ვოლგისპირელების კარში ორი პენალტი დანიშნა და კარიაკამ ორივე გამოიყენა. მიუხედავად ამისა, ბონდარენკომ თორმეტწუთიან მონაკვეთში დუბლის შესრულება მოახერხა და სამარელები ხელცარიელი გაისტუმრა.

პრემიერლიგის დებიუტანტმა „ყუბანმა“ პირველი გამარჯვება მოიპოვა. კრასნოდარელებმა ბრინჯაოსანი „რუბინი“ აკენოვის გოლით დაამარცხეს.

როსტოეში და ვლადიკავკაზში გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დასცილდნენ. პირველ ტურში „ტორპედოსგან“ ნაკვეთმა „როსტოემა“ „შინიკს“ ვერაფერი დააკლო. მეორე ტაიმის შუაში მასპინძლებს ერთი ფეხბურთელი გაუძევეს და ქულა რომ მიითვალეს, ესეც კარგია.

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.)



სატურნი — სპარტაკი. ერთ დროს „საბალხო გუნდის“ ყოფი ვიქტორ ონოპკო ახლა „სატურნს“ კაპიტნობს

შედეგები

სუპერლიგა. XXV ტურის შედეგები

- ბაზელი 3:1 აბრუ
0:1 ოპანგო (27), 1:1 ს. ხიმენესი (43), 2:1 ს. როსი (72), 3:1 კ. ხიმენესი (76)
გრასჰოპერი 1:2 ვილი
0:1 რენგლი (28), 1:1 კაბანასი (27), 1:2 მორდევუ (73)
სამბასი 1:1 თუნი
1:0 მფუტი (36), 1:1 რაიმონდი (50)
სენტ გალენი 1:3 ციურიხი
0:1 მუფი (27), 1:1 მერენდა (72), 1:2 გიგაქი (88), 1:3 მუფი (90)
ინაზ ზოინი 4:2 სარვეტი
0:1 კადერი (6), 1:1 სერმეტერი (10), 2:1 ლენდრო (31), 3:1 შაბუნი (49), 3:2 დამბრელი (64), 4:2 სერმეტერი (65)
ბაზელი 25 20 4 1 70:22 64
ინაზ ბოისი 25 16 4 5 56:34 52
სერვეტი 25 12 6 7 45:40 42
ციურიხი 25 10 3 12 41:38 33
გრასჰოპერი 25 9 4 12 44:52 31
თუნი 25 7 8 10 34:45 29
სენტ გალენი 25 7 6 12 36:48 27
აბრუ 25 5 10 10 40:51 25
ვილი 25 6 7 12 31:45 25
ქსამაქსი 25 4 6 15 23:41 18

ჩემპიონატი


გამპრინუს ლიგა. XXII ტურის შედეგები

- ბანიკი — სლავია 0:2; ზლინი — ოპავა 0:0; ბრნო — პლზენი 4:0; იაბლონეცი — ფიფოვი 1:1; სიგმა — ბუდეიოვიცე 1:0; პრეჰობრამი — სინოტი 1:0; ტეპლიცე — ბლშანი 2:2. სპარტაკ — ლიბერეცი დღეს გაიმართება
ბანიკი 22 13 7 2 44:19 46
სლავია 22 12 4 6 28:13 40
სიგმა 22 11 6 5 33:17 39
სპარტაკი 21 10 8 3 35:17 38
სინოტი 22 9 5 8 29:30 32
ზლინი 21 9 4 8 22:23 31
ბუდეიოვიცე 22 8 6 8 24:25 30
ლიბერეცი 20 7 7 6 18:16 28
ბრნო 22 7 7 8 26:27 28
პრეჰობრამი 22 7 6 9 25:23 27
ტეპლიცე 21 6 8 7 21:23 26
იაბლონეცი 22 4 12 6 17:24 24
ოპავა 21 6 4 11 25:31 22
ფიფოვი 22 5 6 11 14:24 21
ბლშანი 21 5 4 12 23:42 19
პლზენი 21 3 6 12 14:36 15



# საქართველო 23:7 ჩეხეთი

20 მარტი, თბილისი. «ეროვნული»



დავით დალუნაშვილის სპორტულ აგრესიას ჩეხებმა ვერაფერი მოუხერხეს

## ორიანს ბაჯითის იღებს გორგოძია ჩეხები გააგორა

ჩეხებს არ გაუოცებიათ, ბორჯღალოსნებმა დამაჯერებლად მოუგეს მათ. სიმპათიას კი იმსახურებს სლავთა ჯანაინი, თუმც ცოტა გამოსათლული გუნდი. ჩეხები ნამდვილად არ აფუჭებენ ერთა თასის სურათს და ევროპის მეორე ექვსეულში კიდევ ორწლიან ვიზასაც ალაღადად იმსახურებდნენ. სულ სხვა იყო პოლანდია, რომლებიც ჩვენებმა ზუსტად ორი წლის წინ მშ:მ გაასწორეს „ეროვნული“ მიწაზე. პოლანდიას ისევე არაფერი ესაქმება ერთა თასზე, როგორც ჩვენ, პორტუგალიასა და თუნდაც რუმინეთს ნაღდი რაგბის მობურთალ ექვსი ერის საწუკარ კამპანიაში.

პანიკა და ქაოსი რა მოსატანია, ჩეხები თავს ორგანიზებულად იცავდნენ და ბურთი ჩვენ სალელოვე მისაღვომებამდე მოტანაც არ უჭირდათ, მაგრამ რაკი ოვალურ ბურთთან ისე დიდი ხნის ურთიერთობა არ აკავშირებთ, როგორც ჩვენებს, შეტევების დაგვირგვინება არ გამოსდიოდათ. მაგრამ აქ ნიშანდობლივი ისაა, რომ ჩეხეთი „სწორ“ რაგბის თამაშობს და წინსვლის სურვილიცა და საფუძველიც გააჩნია. ასე იყო პორტუგალიაც, რომელმაც ბევრი წაგების შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს მოგებები იწყო და შარშან ერთა თასიც შემოდო პრიზების და ტიტულების ცარიელ, მტკრიან თაროზე.

ჯერ კი ჩეხეთი მხოლოდ მოსწავლეა და ბორჯღალოსნებმაც გუმინწინ გაკეთილიც ჩაუტარეს. მწვრთნელთა შტაბმაც განსაკუთრებული რისკის გარეშე გამოცადა რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე.

დიდი ძვრება უკან ხაზში. საქართველოს ეროვნული გუნდის ძირითად 15-ში პირველად მოხვდნენ ლექსო გუგავა, ლამა ფირფილაშვილი და გიორგი შკინინი, ხოლო ასევე ჯველი ოთარ ბარკალაია თანდათან მკვიდრდება მცველის (15 ნომერი) პოზიციაზე. ასევე მშვენივრად ითამაშა შერკინების გამოამაშებელმა მერაბ კვირიკაშვილმა, რომლისთვისაც ეს მატჩი პირველი იყო მსოფლიოს თასზე ურუგვაისთან წაგებული შეხვედრის შემდეგ. ალბათ უკეთაც შეიძლებოდა, მაგრამ მთლიანობაში გადახალისებულმა გუნდმა ნორმალურად ითამაშა.

არც თამაში გამოდგა ძალზე

მოსაწყენი. საწყისი ათიოდ წუთი გუნდებმა დალაგებას მოანდომეს, მერე კი ჩეხეთი ცენტრსაქეთ გადმოვიდა. მე-12 წუთზე ჩვენს ნახევარზე აუტიდან გამოსვლის შემდეგ დალუნაშვილმა შებოჭვის შემდეგ მიწაზე ბურთს ხელი არ გაუშვა და გერმანელმა მსაჯმა სტუმრებს ანგარიშის გახსნის შანსი უბოძა. მათმა დამრტყმელმა კრეჩიმ 40-ოდ მეტრიდან ვერ იმარჯვა და ჩეხებს დაწინაურების შანსი გაუფრინდათ და როგორც ძალე გაიარკვა, საბოლოოდ.

მაგრამ ქართველებიც კარგა ხანს ამოდ ტრიალებდნენ მეტოქის ნახევარში. ბობა კვინიხიძის საჯარიმოთი მხოლოდ 26-ე წუთზე გაიხსნა ანგარიში — 3:0. უკვე ერთ წუთში ბორჯღალოსნებმა საჭირო ლელოც გამოაცხვეს. ლექსო გუგავა მოედნის მარჯვენა კიდესთან დაახლოებით ჩვენს 22-მეტრიანი ხაზიდან მარჯვედ დაუსხლტა ჩეხ მბორკავებს და რამდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ ბურთი კვირიკაშვილს გაატანა. „მეკომ“ თავისუფალი სივრცე ცენტრისკენ მონახა, მერე კი მარცხენა ფრთაზე მთელი სისწრაფით გააქცია გიორგი შკინინი. ახალბედა გარემარბმა დაახლოებით 30 მეტრი ირბინა და ჩეხებმა ზედ სალელოვე ხაზთან გაჩერეს, თორემ დებოუტს მშვენიერი ლელოთიც აღნიშნავდა. მაგრამ შკინინს თანაგუნდლებმაც მიუსწრეს და კაპიტანმა ილო ზედგინიძემ მბორკავებთან ჯაჯგურში დიდი პრობლემების გარეშე დაამიწა ბურთი.

სხვათა შორის, მასპინძელთა ორივე ლელო მეორეხაზელების ანგარიშზეა. მეორე ტაიმში მამუკა გიორგაძემაც ისახელა თავი, თანაც ისეთი ლელო დადო, მატჩზე წასვლა მარტო ამ ლელოს ნახვად ღირდა. გორგოძესთან კონტაქტი გუმინწინ ყველაზე ჯანაინ ჩეხებსაც უჭირდათ, იმ მომენტში კი ვეება ქართველ ჭაბუკის მიწაზე დაცემა რამდენიმე მათგანმაც ვერ მოახერხა. 62-ე წუთზე ქართველებმა ჩეხთა დაცვის ხაზი გაარღვიეს და გორგოძე რამდენიმე დამცველის პირისპირ მარჯვენა კიდეზე „მარტო“ დატოვეს. ყველა ლოგიკით ჩვენების შეტევის ეს ფაზა მოიერიშის შებოჭვის უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გორგოძე

წინ მოიბრძოდა და ზორბა ჩეხებს პანტა-პუნტით აქეთ-იქით ისროდა. ფეხებში გაბლანდვაც ვერ მოახერხეს, ასე იარა ქართველმა მორკინალმა 20 მეტრი და თავისი პირველი სანაკრებო ლელოც დადო. ბობა კვინიხიძემ ეს ურთულესი გარდასახვაც შეაგლო, როგორც პირველი, სულ კი ქართველთა 23 ქულიდან 13 მან ჩაიწერა.

ჯაბანნი არც ჩეხნი გახლდნენ და თავისას ისინიც ცდილობდნენ. განსაკუთრებულად აგრესიულად მეორე ტაიმში შემოგვიტყეს და პირველივე წუთებში მათმა შერკინებამ რამდენჯერმე დაარტყა ჩვენს ხაზს. „ახალგაზრდა“ ხაზმა გაუძლო და განმუხტა დამაბულბობა. ერთ მომენტში, უკვე 23:0-ის შემდეგ, როცა ბორჯღალოსანთა მწვრთნელებმა საქმეში ახალგაზრდა დებოუტანტები დავით ჟღერტი, შალვა პაპაშვილი და დენის პინჩუკოვი ჩართეს, ჩეხებმა თითქმის მიადწიეს საწადელს. მათ გუნდურად მოლით შემოადწიეს ჩვენს ჩათვლის მოედანში, მაგრამ ჩვენმა მორკინალებმა ივაჟაკაცს, ჩაწოლა და ბურთის დამიწება არ დაანებეს და ერთმანეთში ახელილ ჩეხთა გორგალი ხაზს გარეთ გამოისროლეს.

მაგრამ სტუმრებმა თავისი მანინც გაიტანეს. ბოლო წუთზე, როცა ყველა დაღლილი იყო და ყველაფერი გადაწყვეტილი, ბრძოლა-ბრძოლით თითქმის ბოლომდე მისულმა ჩეხებმა ბურთი სწრაფად ჩათამაშეს და მათმა მცველმა როლიკმა იოლად გაჭრა ქართველთა ხაზი. რა გვეთქმის, ჩეხეთი იმსახურებდა ამ ლელოს, თუმც ისიც შეიძლებოდა, ისინი უქულოდ გაგვესტუმრებინა.

ახლა გადახალისებულ ბორჯღალოსნებს ბოლო მეტოქედ რუმინეთი რჩებათ, რომელმაც მოულოდნელად რუსეთში წააგო და ერთა თასისკენ მიმავალი გზა გაიმარჯვა, ფავორიტთა მარცხის მოუხერხდაც, საქართველოს პრაქტიკულად არ გააჩნია პირველობის შანსი. აი, ესპანეთისთვის რომ მოგვეგო...

შინ პორტუგალიის ვერმომგები ესპანეთი კი უკვე გავარდა, თან დიდი შანსია, ხუთ თამაშში მხოლოდ ჩვენთან ფრე შერჩეს. მის ადგილს კი ევროპის მეორე ექვსეულში უკრაინა დაიჭერს.

ირაკლი ფირაფხილი

საქართველო	ჩეხეთი
ბარკალაია	15
შკინინი	14
ზიბზიბაძე	13
ფირფილაშვილი	12
გუგავა	11
კვინიხიძე	10
კვირიკაშვილი	9
ჩხაიძე	8
ზ. მაისურაძე	7
უდესიანი	6
გორგოძე	5
ზედგინიძე (კაპ)	4
ჭავჭავაძე	3
დადუნაშვილი	2
მთიულიშვილი	1
როლიკი	
შუაქა	
შერკინი	
ბარბეცე	
იატრო	
კრეჩი	
სიროვი	
მახაჩევი	
ვონდრაშევი (კაპ)	
პეკაჩევი	
ვოვეში	
ნემეჩევი	
შტასტნი	
რაპანტი	
შუსტერი	

შეცვლაზე შევიდნენ

კუთარაშვილი (მთიულიშვილი)	შუდრმენტი (შუსტერი)
ესაკია (ჭავჭავაძე)	სკალი (რაპანტი)
ფლენტი (ზედგინიძე)	კოლაჩევი (შტასტნი)
პაპაშვილი (უდესიანი)	ზელენკა (ვოვეში)
სამხარაძე (კვირიკაშვილი)	დოსედლა (ბარბეცი)
ბინჩუკოვი (ჭუგავა)	იურსიკი (ფაკი)
ანდლულაძე (ფირფილაშვილი)	

მსაჯნი: ბერნდ გაბაი (გერმანია)

მცოცავი ანგარიში

პირველი ტაიმი: 3:0 კვინიხიძე (26,ს), 8:0 ზედგინიძე (28,ლ), 10:0 კვინიხიძე (28,გ), 13:0 კვინიხიძე (35,ს), 16:0 კვინიხიძე (40,ს)

მეორე ტაიმი: 21:0 გორგოძე (61,ლ), 23:0 კვინიხიძე (61,გ), 23:5 როლიკი (80,ლ), 23:7 კრეჩი (80,გ)

### ნამატჩევის

მატჩის შემდეგ, სანამ ბორჯღალოსნები მილოცვებს იღებდნენ, ჩეხეთის ნაკრები მოედანზე დარჩა. მოთამაშეები დაღვრემილები და გულნაკლულები ჩანდნენ. როგორც მანამდე ამბობდნენ, მაინცდამაინც გამარჯვების იმედი არც ჰქონდათ, მაგრამ თბილისში არც ასე დიდი ანგარიშით დასამარცხებლად ჩამოვიდნენ. ამ დროს მოგვეცა საშუალება, ნაკრების მოთამაშე მწვრთნელსა და ერთ-ერთ ლიდერს იან მახაჩეკს ვავსაუბრებოდით, რომელსაც მასაჟისტი თამაშში მიღებულ ტრავმას უმუშავებდა

## მონახაზი ვერ დაგხაზათ

— ძალიან მოწყენილნი ჩანხართ, არ ელოდით წაგებას?  
— საქართველოს ნაკრები ძალიან კარგ რაგბის თამაშობს, ეს ადრეც ვიცოდით. დონითაც ჩვენზე უდავოდ ძლიერები არიან, მაგრამ ჩემმა გუნდმა რატომ ვერ ააწყო თამაში და რატომ, აი ამას ვერ ვხვდები.  
— რაიმე გეგმა ზომ არ გქონდათ შემუშავებული?  
— მონახაზი გქონდა ისეთი, რომ თუ განვასორციელებდით, უფრო დამაბული მატჩი იქნებოდა. რატომღაც აირია მონასტერი და ვერც ერთმა მორაგბემ ვერ ითამაშა გეგმით.  
— ფიზიკურად ყველა კარგად გრძობდა თავს?  
— დიას, ნორმალური სიტუაციაა ნაკრებში. თითქოს საბრძო-

ლო განწყობაზე ვიყავით. ეტყობა, მაინც სათანადოდ არ ვართ შეკრულნი.  
— ერთ კვირაში ესპანელებთან გელით მატჩი. ასევე ითამაშებთ?  
— არა, უკეთესად. იქ ერთი დონის მეტოქეები ვართ და ალბათ ჩვენ მოვიგებთ. ძალიან გვკვირდება ესპანელებთან გამარჯვება. მათთან ჩვენი ანგარიშები გვაქვს.  
— რას გულისხმობთ?  
— ისინი აუცილებლად უნდა დავამარცხოთ.  
— ეს მატჩი მოგეწონათ?  
— არა. ვერც ჩვენ და ვერც ქართველებმა ლამაზი რაგბი ვერ ვაჩვენეთ გულშემატკივარს. მეტიც, არეულობა უფრო ეთქმოდა, ვიდრე რაგბი.

ინო ლეშაგა





ევროპის მართა თასი 2004

ბედნიერი სარაგბო დღე გაუთენდათ რუსებს. „დათვები“ ძალიან დიდი ხანი ელოდნენ რუმინელთა ძლევას და ბოლო-ბოლო გაიტანეს თავიანთი ტელეო. პირველი ტაიმის ძლიერ ზურგჯარში თამაშისას რუსები შესვენებამდე 21:3 დანიანურდნენ და მერე უკვე პირქარშიც იყოჩაღეს, მეორე ტაიმის დასაწყისში მესამე ტელეო დაუდეს

„მუხის ფოთლებს“ - 26:3. რუმინელები გამაგდნენ და რამდენიმე ნუთში სხვაობა 9 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ რუსთა მეოთხე ტელეომ საბოლოოდ გატეხა ნულში. ერთა: თასის მესამე შეხვედრიში ესპანეთმა ბელისწერად ქვეულ პორტუგალიას შინ ვერ მოუგო და ერთა თასიდანაც ერთი ტურით აღრე გავარდა

მართა თასი ჩვენია! რუსეთმა გალთან შერკინება შემოატრიალა

20 მარტი. კრასნოდარი რუსეთი 33:24 რუმინეთი 20 მარტი. იბიზა ესპანეთი 19:35 პორტუგალია


რუსთა მეთაური ალექსანდრ პერეზუხინი რუმინეთის ნაკრებთან ტრიუმფის შემდეგ მშვერიერ ხასიათზე განხლდათ.

— როგორ მიუკეთ რუმინელებს? — ჩვენდა გასაკვირად, „მუხის ფოთლები“ ისეთ ჩინში მოვაქციეთ, რომ პრესტიჟის ლელოც კი დასჭირდათ, ჩვენთან ბოლომდე რომ არ გაბითურებულიყვნენ. — რატომ მოხდა ასე, ვითომ არ ჩავთვალეს სერიოზულ მეტოქედ? — ეტყობა, საქართველოსთან ჩვენი მარცხის გამო იფიქრეს, „დათვებს“ იოლად დაეჭირებოთ. თანაც მათ ზომ კრასნოდარშიც მოუგათ ჩვენთვის ერთი ვერ გათვალეს, რომ რუსებმა კარგე მასპინძლობა ვიცით და ბრძოლაზეც არ ვამბობთ უარს.

— თამაში როგორ წარიმართა? — სიმბოლოს ფეხი კარგად წაუვიდა, სამი ჯარიმა ზუსტად გაიტანა. გრანოვმა, რომაქმა, შილიპკოვმა და კახანცევმა, პირდაპირ ვიტყვი, ბრწყინვალე ლელოები დაამიწეს. არც გვეუროდა, რომ პირველ ნახევარს 21:3 დავასრულებდით. — მეორეში ათამაშდნენ რუმინელები... — მეორეში მოუმატეს, თუმცა რუმინეთი ინგლისი არ არის, რომ სასწაულები მოახდინოს. მათ ვერ ამოიღეს სხვაობა და მატჩის დასასრულს პრესტიჟის ლელოც დავადებინეთ. — თქვენი გუნდიდან ვის გამოარჩევდით? — მთელმა გუნდმა იბრძოლა, მაგრამ განსაკუთრებით კახანცევის ლელოს გამოვარჩევდი. მან მეტოქეს გადაუკიდა ფეხით ბურთი, თვითონვე დაიჭირა და ლელოც დადო. არც იური შილიპკოვის ლელო იყო ურიგო. ასე ვთქვათ, მან

ჯენტლმენურად აიღო მოწინააღმდეგის „ქალაქი“. — ალბათ დიდი პრემიები ექნებათ ბიჭებს ამ გამარჯვებისთვის. — დიახ. ჩვენ ვუფასებთ მორაგბეებს გამარჯვებებს და ანაზღაურებასაც არ ვუგვიანებთ. რამდენი იქნება, ამას ვერ ვეტყვი. — ერთა თასის ალბის შანსიც ვაგვიჩნდათ... — შანსი კი არა, წლეულს თასი ჩვენი განდება, რადგან ჩვენს, თქვენც კარგად იცით, დავამარცხებთ. გადატანილი მატჩი იფინში გამართება. პორტუგალიასთანაც იმედია ვართ. — დარწმუნებულები ხართ, რომ პორტუგალიელებს მოუგებთ? — უნდა მოუგოთ. ყველანაირად ვეცდებით და ყოველგვარ დონეს გამოვიყენებთ, ტაქტიკურსა და ფიზიკურს, რათა პორტუგალია დავამარცხოთ. — წარმატებებს ვისურვებთ. — გმადლობთ.

ენიო ლეშაგა



ალექსანდრ პერეზუხინა ბოლო-ბოლო გაიტეხა

სატურნირო 300არაბა

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Rows: რუმინეთი (4, +105, 10), პორტუგალია (4, -4, 10), საქართველო (4, +17, 9), რუსეთი (3, +33, 7), ესპანეთი (4, -86, 4), ჩეხეთი (3, -65, 3)

2-წლიანი ცხრილი

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Rows: პორტუგალია (9, +64, 25), რუმინეთი (9, +190, 23), საქართველო (9, +52, 20), რუსეთი (8, +24, 14), ჩეხეთი (8, -134, 12), ესპანეთი (9, -196, 10)

2005 წლიდან ესპანეთის ადგილს უკრაინა დაიჭერს

ბოლო ტური

27 მარტი რუმინეთი — საქართველო ჩემპიონი — ესპანეთი პორტუგალია — რუსეთი გადამგებული მატჩი 12 ივნისი რუსეთი — ჩემპიონი

მეხსი პრი 2004 შოტლანდია გაიშოლტა ფრანგმა ჰვაროსნებმა ნარბაჰა ააფხვს

20 მარტი. თვიქნები ინგლისი 31:21 შვედია უელსელებმა მასპინძლებს საწყისი წუთებიდანვე აძენეს, რომ თვიქნებში ოდენ სასპარინგოდ და საბერტყად არ იყვნენ ჩასულნი. თუმცა ნულოვანი საწყისი ფრე მინც კლავი ვუდვორდის სამწესომ გატეხა — მეხუთე წუთზე ბენ კოენმა უილ გრინუდის შორი პასი შეიშწოვა და სტუმართა სალელოეში კანჯარით შეგრიდა. ლელო ბათელმა ყრმამ ოლი ბარკლიმ გარდასახა. უელსელებმა მასპინძლებს სტივენ ჯონსის ორი საჯარიმითი მიუგეს, მაგრამ შემდეგ თამაშმა ისევ მათ ნახევარზე გადაინაცვლა და იმავ ბარკლიმ ზუსტი საჯარიმობით სხვაობა აღადგინა. ტაიმის მიწურულს ჯონსმა და ბარკლიმ თითო-თითო საჯარიმო ისევ გაცვალეს.

კიდევ უფრო სასერიო ბურთაობა კი მეორე ნახევრის პირველი წუთებიდან გაჩადა. უელსელებმა ინგლისელები მიწნენ და ბურჯებმა — ჯონსმა და ჯენკინსმა სალელოედ გარეთ თომასი გააქცუნეს. ეს მისი 33-ე სანაკრებო ლელო იყო და ამით ის უელსელთა რეკორდოსან იეან ევანსს გაუთანაბრდა.

ჯონსმა ეს ლელო ზუსტად გარდასახა, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით საჯარიმო დააცდინა. სტუმრებმა მინც შეძლეს სასწორის სათავესოვად გადახრა — ბარკლის უხერიო დარტყმამ მათ კონტრიბუტში გადასვლის საშუალება მისცა და შერკინების ლიანგური დარტყმა ვეტერანმა შუამარბმა მარკ ტეილორმა დააგვირგინა.


16:21-ზე მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი და კიდევ ერთი მარცხის სუნნაკრავი მსოფლიოს ჩემპიონები მეტოქეს გაშმაგებით მიეძღვნენ. ხანგრძლივი ალყა ციხის ორჯერ აღებით დასრულდა.

20 მარტი. დუბლინი ირლანდია 19:3 იტალია ჩაფორმალეულ დუბლინში იმ დღეს ძლიერი ქარი უბერავდა და შიგადაშიგ თქეშავდა კიდევ ქარი მატჩის უმთავრეს მონაწილედ იქცა და მეტოქეებს ერთმანეთის გარდა მასთან ჭიდილიც უხდებოდა. რაკილა საჯარიმობის შეგდება ჭირდა, ირლანდიელები აბურის სალელოედ ეტევებოდნენ და სამჯერ გააპეს კიდევ. პირველი ლელო ვეტერანმა მალკოლმ ოკელიმ დადო 24-ე წუთზე — მან იტალიელთა მოკლე აუტი მოიგო და ბურთი მყისვე საჭიროებისამებრ დააბინავა. სხვათა შორის, ოკელიმ თავის 63-ე ტესტი ითამაშა და ამით ჯონ მაკბრაიდის შიდაირლანდიური რეკორდი გაიმეორა.

მეორეჯერ აბურის საქულე ზონას მასპინძელთა კაპიტანმა ბრაიან ოდრისკოლმა უწია — შესვენებამდე შვიდი წუთით აღრე მან მეტოქე მარტოკაცად დაიონავრა. განსხვავებით პირველი ლელოსგან ქარმა რონან ოგარას ამ ჯერზე გარდასახვის გატანა დაანება.

მეორე ნახევარი სტუმართა იერიშებით დაიწყო და პირველი ათი წუთი აბურში ირლანდიელთა ნახევარზე დაჰყო. მაგრამ ამას ზერი არ მოჰყოლია — მასპინძელთა დაცვა გაუვალე იყო. მერე სამყურები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ოგარამ შინ პორგანი სალელოედ პასით შეამარავა. რაკილა ბურთი ძელებს შორის დაიღო, ოგარას გარდასახვის გატანა არ გასჭირვებია.

მატჩის ბოლომდე კი ბურთი ძირითადად კვლავ იტალიელებს ეპყრათ. 63-ე წუთზე მასპინძლებს კაპიტანიც გაუსინძინეს — ოდრისკოლმა პოლ გრიფენი უწესოდ შებოჭა. მაგრამ ირლანდიელთა დაცვას მინც არაფერი დაკლებია — აბური მხოლოდ ლე მარინის ერთ ზუსტ საჯარიმოს გამოჩრა.



დებიტრი იაშვილი და მისი საფრანგეთი შოტლანდიას თავზე დააჭრა

21 მარტი. ელინბურგი შოტლანდია 0:31 საფრანგეთი

ეს ორი წინარე თამაში შაბათს გაიმართა და ლელოები ორივეში მრავლად დაიღო, თუმც ვერც ინგლისისა და ვერც ირლანდიელების შინაური ზეობა ვერ ამოუდგება გვერდში ფრანგთა გუშინდელ ჯვაროსნულ ლაშქრობას ნარშავს ქვეყანაში. შოტლანდია აღიგავა პირისგან ამყი მთიელების მიწისა. დაუმარცხებლად ვალმა ფრანგებმა ნავაგაკარი სქოთებს ქვა-ქვაზე და კინკილა საჯარიმო კი არ დაუტოვეს — 31:0. ერთი ლელო დამწყებ 15-წულში აღდგენილმა ოლივიე მანიმ მოირეწა, ორიც იანიკ ჟოზიონმა, დანარჩენი 16 ქულა კი დიდ რაგბში ვინძლო ყველაზე მარჯვედ დამრტყმელი 9 ნომრის დებიტრი იაშვილის ფეხზეა.

ლემან კილაურაქი

საქართველოს ჩემპიონატი

21 მარტი. მერჩხი ბაზაი მამბანონიშვილი (20), მანკლავა (21), შაიძე (26), კონჯარია (14), სუბიშვილი (19), ერგემლიძე (6), ტაბუნაშვილი (22) სსუ: ფარალავა (11), სორდია (30), ლუკავა (22), კანკია (14), ქვილითაია (6), პატარაია (3), ფაცაცია (2)

ლინაპო 126:49 ქუთაისი

ლინაპო: ფლენტი (12), ხოშტარია (10), ბეფანიშვილი (21), აბულაძე (12), მინაშვილი (17), კვიციანი (15), გოგობერიშვილი (16), ლოსაბერიძე (10), ჩუბინიძე (9), გულისაბეგაშვილი (4) ქუთაისი: ნარსია (4), ნიფარაძე (3), შავლაძე (11), კოლუაშვილი (14), პირტაია (7), ნ. შანიძე (8), მამისიევილი (2), ცერცვაძე

21 მარტი. ჰერის ბაღი

რუსთაპი 87:89 თსუ

რუსთაპი: გაბისონია (3), არნივიძე (17), ტყემალაშვილი (1), დანელიანი (13), ბერუაშვილი (33), ჩაჩუა (9), ჯიმიშვილი (11), ლომარტელიანი (1) თსუ: თორთლაძე (11), მისურაძე (10), ორმოცაძე (17), შენგელია (16), მარხვაშვილი (13), აბრამიძე (12), საყვარელიძე (4), ხანიკიძე (6), ფანშულიძე, ვეფხვაძე

სატურნირო 300არაბა

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Rows: ბასკი (24, 22, 2, +648, 46), სტუ (24, 17, 7, +350, 41), დინამო (23, 18, 5, +529, 41), თსუ (25, 15, 10, +117, 40), რუსთაპი (24, 13, 11, +152, 37), მამბანი (23, 8, 15, -148, 31), სსუ (25, 4, 21, -625, 29), ქუთაისი (26, 0, 26, -1023, 26)

რეგულარული ჩემპიონატი

19 მარტი დებროვო 94:75 დენპერი ვაშინგტონი 94:84 ატლანტა ნიუ იორკი 79:65 ნიუ ჰეივსი ინდიანა 92:94 სპარაშინტო ფინიქსი 80:93 მინესოტა ვოლვან სტილი 90:84 პოსტონ ტორონტო 91:96 ჩიკაგო კლივლანდი 88:97 იუტა ნიუ ორლეანი 80:91 სიატლი დალასი 120:104 პოსტონი ლიუკაპრისი 106:100 კლივარისი 20 მარტი მაიაში 101:69 ფილადელფია მეფისი 99:95 ინდიანა სან ანტონიო 103:87 პოსტონი ატლანტა 81:87 იუტა ჩიკაგო 87:81 ნიუ იორკი ფინიქსი 123:111 მილუოკი პორტლენდი 92:73 ორლანო

პიკაპი რეგულარული ჩემპიონატი


19 მარტი აილენდარსი 3:1 მინესოტა ნიუ ჰეივსი 1:1 მონრეალი პიტსბურგი 4:3 კაროლინა ატლანტა 3:2 ფლორიდა ჩიკაგო 4:3 ვანკუვერი ედმონტონი 5:4 ნეშვილი ანაპაიში 2:4 სან ხოსე 20 მარტი პოსტონი 5:4 ტამპა კალგარი 1:3 ნეშვილი დალასი 3:1 სანტ ლუისი ფლორიდა 1:2 ბუზალო ლოს ანჯელესი 2:4 დებროვო მონრეალი 3:2 ნიუ ჰეივსი ოტავა 2:3 კაროლინა ფილადელფია 3:0 რიჩმონდი ტორონტო 5:2 კოლორადო ვაშინგტონი 2:2 ატლანტა







# ჯერ საქმეა წესი შუამხარი კი ყველა წესზე წესიერია



მიხეილ შუამხარის მოგება უწინდელივით ახარებს

REUTERS კუალა ლუმპურიდან

სამართაშორისო საავტომობილო ფედერაციას თითქმის ყოველი სეზონის წინ შეაქვს ცვლილებები გათამაშების წეს-რეგლამენტში. უპირველესად ეს მიმართულია მხოლოდ უსაფრთხოების კიდევ უფრო ასამაღლებლად და უსაშველოდ გაძვირებული საფორმულო ტექნოლოგიის შეზღუდვით საშუალო შეძლების გუნდებისთვის მცირეოდენი შეღავათის გასაწევად.

ეკონომიის მხრივ — აიკრძალა დაძვრისას ელექტრონიკის და ავტომატურ სინქრეთა კოლოფის გამოყენება, თანაც სარბოლო სამდიოურში საჯინიბოებს ყოველ ბოლიდზე მხოლოდ ერთი ძრავის გამოყენების უფლება აქვთ. ამიტომ პილოტები პარასკე-შაბათის ვარჯიშებზე მოტორს უფრო ხილდებიან და მაქსიმალური დატვირთვით მხოლოდ მეორე, მთავარ საკვალიფიკაციო ცდისას ამუშავებენ, რადგან გამოცვლა ან გარემონტება რბოლის სტარტზე ათი პოზიციის დაკარგვად დაუფლებათ.

შედეგად, აზრი დაკარგა წინასწარმა საპოულე გარბენმა, რომლის მიზანიც ჩასათვლელ ცდაზე მძღოლთა გაჯირითების თანმიმდევრობის გარკვევაა. საყოველთაო კრიტიკაც ამ უაზრო, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდას თქმით, „ილიოტურმა“ პუნქტმა გამოიწვია. პრაქტიკულად არაფრისმოძვე პირველ ცდაზე თითქმის ყველა საშუალო სინქრით დასეირნობს, რომ ძრავა არ „დაწვას“, მით უფრო, რომ წინასწარ გასვლის შემდეგ უარესი შედეგის მქონე ხუთი-ოც წუთში ჩასათვლელ წრეზე პირველი უნდა გავიდეს. — მანქანაში არავითარი ცვლილების დრო არ გვრჩება, ის კი არა, მრბოლებთან დალაპარაკებასაც ვერ ვასწრებთ — ჩივიან მექანიკოსები.

ეს აბსურდული წესი სავარაუდოდ უკვე აპრილში შეიცვლება. უმჯობესი იქნება, პირველი დროც ჩასათვლელი იყოს და მძღოლების სასტარტო ადგილი ორიდან საუკეთესო შედეგით გაირკვეს, რათა უნებლიე შეცდომით არ დაზარალებდნენ. მაგალითისთვის შორს წასვლა არაა საჭირო. „სეპანგზე“ შაბათს თავიდან ყველაზე და თვით ფერარელებზეც კი სწრაფი ფერანდო ალონსო იყო. იგი ძირითად ცდაზეც მშვენივრად, მეორე-მესამე პოზიციის გრაფიკით მიქროდა, მაგრამ ფინიშის სიახლოვეს მოსახვევში საჭე გაექცა, „რენო“ მოხრეშილ ზონაში მოუსრიალდა და საერთოდ უდროოდ დარჩა. ბუნებრივია, რბოლის დაწყებაც ბოლო, მეათე რიგიდან მოუხდა და წარმატების შანსი თავიდანვე გადაეწურა.

კვალიფიკაცია, ისევე როგორც ორი კვირის წინ ავსტრალიაში, მიხეილ შუამხარმა უზარმაზარი უპირატესობით მოიგო — თავისივე შარშანწინდელი რეკორდი 2,2 წამით გააუმჯობესა. ეს მისი 57-ე პოულია და ლეგენდარულ აირტონ სენას ფანტასტიკურ მიღწევამდე რვადა აშორებს. პირველ სასტარტო რიგში შუმის გვერდით მოულოდნელად მოკალათდა ავსტრალიელი მარკ ვებერი, მეორე რიგში რუბენს ბარიკელო და ხუან-პაბლო მონტოია იდგნენ, მათ უკან კიმი რაიკონენი და ჯენსონ ბატონი.

27 წლის ვებერმა კარიერაში საუკეთესო პოზიციით, როცა წინ არავინ უშლიდა ხელს, ვერ ისარგებლა — დაძვრისას შეყოვნებულს აქეთ-იქიდან ერთბაშად შეიძმა აუარა გვერდი. 30 კილომეტრის გავლის მერე მის მწვანე ბედაურს „მიშლენის“ ნაქები საბურავი გაუსკდა და ძლივს მიბობდა ბოქსებამდე. შეცვლილი ბორბლით ბრძოლა კი გაავრძელა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაძლო, მოსახვევში შეცდომისგან „იაგუარი“ ტრასიდან გაექცა და დამცავ ზონაში გაიჭვდა.

იყოჩადა ალონსომ: დასაწყისშივე ისე დაფეთებით გაქა-

ნდა, რომ ერთბაშად ხუთი მეტოქე ჩამოიტოვა, პირველი წრის ბოლოს კი ათეულში ამოჰყო თავი ნანდოს ძრავი მერე დაუკლია მცდელობა და რბოლა-ჩასათვლელ რეინში დაასრულა.

გასული სეზონის ლიდერთათვის ეს ეტაპი პირველს ანალოგიურად წარიმართა — ჩემპიონმა შუამხარმა თავიდანვე ისე ჩამოიტოვა ქარავანი, რომ არავის დაუტოვა შებრძოლების შანსი, ხოლო ვიცეჩემპიონ რაიკონენის „მაკლარენს“ მეორეჯერ უღალატა „მერსედისს“ ძრავამ, ოღონდ ამჯერად შედარებით გვიან, ფინიშამდე ასიოდე კილომეტრით ადრე.

ბარიკელოს მეორე წრეზე ოდნავ დაუბარბაცდა ბოლიდი და მონტოიას და რაიკონენის უკან აღმოჩნდა, მერე კი ბატონსაც ჩამორჩა და ბოლომდე ვეღარ მოახერხა დანაკარგის ანაზღაურება.

ბარელი ბატონი მალაიზიაში იმედიანად ჩავიდა, ტროპიკული სიცხე ჩემს მანქანას და საბურავებს უხდება და საპრიზო ადგილს ვეგემაყო. 24 წლის ინგლისელმა სიტყვა საქმედ აქცია — უშეცდომოდ იჯირითა, არც ტექნიკას გაუწვალდება და თავის 68-ე რბოლაში პირველად შედგა პოდიუმზე.

ხუანის მეორე ადგილმა და სარეკორდო უსწრაფესმა წრემ უილიამსელებს წარმატების იმედი კი გაუღვივა, მაგრამ არა გვერდია „წითელ ბარონს“ და მის უნაკლო „ფერარის“ მეშვიდე ტიტულის მოპოვებაში ხელი შეუშალა.

„მაკების“ კრიზისზე ლაპარაკი ვერ ნადრევიდა, თუმც ფაქტიც ხომ სახეზეა: შარშან ორივე საწყისი ეტაპის მომგებთ (ავსტრალიაში — კულჰარდი, მალაიზიაში — რაიკონენი) მაშინდელი 26 ქულის ნაცვლად სადღესოდ მხოლოდ ოთხი აქვთ.

ბიან ახალაქმ



ჯენსონ ბატონი პოდიუმს და შამპანურს ელირსა

REUTERS კუალა ლუმპურიდან

რაოლის შედეგები	
მალაიზიის ღიდი პრიზი 21 მარტი. კუალა ლუმპური დისტანცია — 56 წრე — 310,408 კმ	
1. (1) შუამხარი (ფერარი)	£3107,490 (204,4 კმ/სთ)
2. (4) მონტოია (უილიამსი)	ჩამორჩა 5,022
3. (6) ბატონი (B.A.R.)	11,568
4. (3) ბარიკელო (ფერარი)	13,616
5. (8) ტრული (რენო)	37,360
6. (9) კულჰარდი (მაკლარენი)	53,098
7. (19) ალონსო (რენო)	107,877
8. (11) მსა (ზაუბერი)	1 წრით
9. (10) და მატა (ტლიოტა)	1 წრით
10. (13) კლინი (იაგუარი)	1 წრით
11. (12) ფიზიკელა (ზაუბერი)	1 წრით
12. (14) პანი (ტლიოტა)	1 წრით
13. (18) პანტანო (ჯორდანი)	2 წრით
14. (16) ბრუნი (მინარდი)	3 წრით
15. (20) სატო (B.A.R.)	4 წრით
16. (17) ბუმგარტნერი (მინარდი)	4 წრით
რბოლას გამოეთიშნენ	
(5) რაიკონენი (მაკლარენი)	გაიარა 41 წრე
(15) პაიდელდი (ჯორდანი)	35
(7) რ. შუამხარი (უილიამსი)	28
(2) ვებერი (იაგუარი)	24
ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი	
პოული	
შუამხარი	133,074 (214,4 კმ/სთ)
საკუეთესო წრე	
მონტოია	134,223 (211,8 კმ/სთ)

	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	პუნტი
1. შუამხარი ფერარი, გერმანია	10	10									20
2. ბარიკელო ფერარი, ბრაზილია	8	5									13
3. მონტოია უილიამსი, კოლუმბია	4	8									12
4. ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი	3	6									9
5. ალონსო რენო, ესპანეთი	6	2									8
6. ტრული რენო, იტალია	2	4									6
7. რ. შუამხარი უილიამსი, გერმანია	5	—									5
8. კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი	1	3									4
9. მსა ზაუბერი, ბრაზილია	—	1									1
10.											
1. ფერარი	18	15									33
2. უილიამსი	9	8									17
3. რენო	8	6									14
4. B.A.R.	3	6									9
5. მაკლარენი	1	3									4

ბაუბერი — 1 ქულა



# ოდისეა დასრულდა ჰენმანი ბოლო კუნძული იყო

## ამოთხედილობა

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — ჯეიმს ბლეივი (აშშ) 6:7 (1:7), 6:4, 6:4; ტიმ ჰენმანი (9, ბრიტანეთი) — ენდი როდიკი (3, აშშ) 6:7 (6:8), 7:6 (7:4), 6:3

ირაკლი ლაბაძემ მანამდე მიუღწევლს მიღწეა. ქართველმა მეოთხედმეტი იხვევ როგორც მანამდე არგენტინელ კალიერიტან და კიდევ უფრო ადრე კარლოს მოიასთან ახლა მეოთხედფინალში გადავიდა. ჯეიმს ბლეივსაც დაუთმო პირველი სეტი, მაგრამ მეორე მთელი დატვირთვით აამუშავა მარჯვენა მარცხენა და დაშლილი ჩოგანობით ნახევარფინალში გაიკაფა კორტი.


ნამატჩევს კი ამბობდა, თავი სიზმარში მგონია და მეშინია არ გავიღვიძო. მასტერს-ნახევარფინალი დასტურ ფერადი სიზმარია. 22 წლის სარეიტინგის ასეულსმიღებული ჰაბუკისთვის, ვისაც მანამდე ასეთ წარმომადგენლობით ტურნირზე თამაში არ მოეგო.

ბლეივის ჩამოშორების შემდეგ ლაბაძე 29 წლის ნატივ და ნაცად ტიმ ჰენმანზე გავიდა, ვისაც თავის ნახევარფინალში გასაღწევად 152-წუთიანი დაძაბული ბრძოლის გადატანა და მეორე სეტში, 5:6-ზე ერთი მატჩბურთის მოგერიებაც მოუხდა. ენდი როდიკს მატჩბურთი ჯენმანმა უკვე მეორედ წაართვა — პირველად შარშან, ვაშინგტონურ ნახევარფინალში გამოუძვრა, სადაც, ამ ჯერისა არ იყოს, მატჩშიც მოუგო (და მეორე ტიტულიც მიითვალა). მას მეორე ისინი ერთმანეთს კიდევ ორჯერ შეხვდნენ — აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეში როდიკმა იმარჯვა, ოქტომბერში, პარიზულ მასტერსნახევარფინალში უმჯობესი კი ისევ ჰენმანი იყო. ერთი სიტყვით, კუნძულების დახვეწილი, „მოაწოდებ-მიეძღვა“ ყაიდა როდიკისთვის ძალზედ ძნელად დასაძლევია დაბრკოლებია.

შეგახსენებთ, რომ როდიკი ინდიან უელსში წლებულს მხოლოდ მეორედ გამოდიოდა, შარშან მან იქ მეოთხედფინალამდე გაატანა და საუცხოო ფორმაში მყოფ რაინერ შუტლერთან დამარცხდა. ჰენმანს კი იქაურ მაგარსაფარზე 2002 წელს ფინალური შეხლაც გაუმართავს, ოღონდ — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ლეიტონ ჰიუიტისგან მძლავრად, 1:6, 2:6 დამარცხებულა.

## ნახევარფინალი

**ჰენმანი** — ლაბაძე 6:3, 6:2  
ტიმ ჰენმანი კი ირიკლი ლაბაძის ჯადოსნური ინდიანუელსური ოდისეის ბოლო კუნძული აღმოჩნდა. უჩვეულოდ შორს შეცურებულმა და სხვებთან სამსუეტთან განდაგანებში დაქანცულმა ქართველმა „მოგზაუმა“ მრავალ კორტზე გადაძხარ ტიმ ჰენმანთან აფრა დაუშვა და საათსა და შეიდ წუთში ხელი ჩამოარეა მეტოქეს. და მინც, ტიმ ჰენმანი არ გახლავთ დაუმარცხებელი მეტოქე მით უმეტეს ასე მაღალ წრეებში, სადაც



ირაკლი ლაბაძის სიზმარი ტიმ ჰენმანთან შეხვედრით დასრულდა

ყველა დაღლილია და გათანჯული. ამას გრძობდა ლაბაძეც და ბრიტან მარცხი ამიტომაც მიიტანა გულთან ახლოს. პირველი სეტის 3:6 წაგების შემდეგ ჩვენებურმა მეორედ 0:2 ჩამორჩენით დაიწყო. ბოლომდე მინც ბოლომდე ბრძოლას აპირებდა, მაგრამ 2:4-ის შემდეგ საკუთარი მოწოდება და პრაქტიკულად მატჩი დათმო. ირაკლიმ თავსაც შეუძახა და ერთ სექტორ ბურთის ჩათვლა-არჩათვლის საკითხი მსაჯთანაც გაარჩია, მაგრამ ამ შემოუბრუნებელი მატჩის შემობრუნება ვეღარ შეძლო. კორტიდან გასვლისას ტრიბუნებს მინც მოსწყვიტა ალალი ტაში.

ამხელა სუპერტურნირის ნახევარფინალში გასვლაც გვარიანად ფასობს საჩოგბურთო ელიტაში თითქმის უცნობი ქვეყნის არცთუ ცნობილი ღესპანისთვის. ირაკლი საპრიზოსაც შეიძატებს და კლასიფიკაციაშიც ღიდ ნახტომს გააკეთებს.

**როჯერი ფედერერი (1, შვეიცარია)** — ანდრე აგასი (5, აშშ) 4:6, 6:3, 6:4

ადრეც ვწერდით და ახლაც ვავიშორებთ, რომ აგასისთან წაგებული პირველი სამი მატჩის შემდეგ, ბოლო სამი შესლავა, როჯერი ფედერერი დამაჯერებლად და შთამბეჭდავად იმარჯვებს. ინდიან უელსამდე ამქრის 22 წლის პირველსანამ 34 წელს მიტანებულ არმენოამერიკელს ორი მარცხი შარშან ნოემბერში, ჰიუსტონურ მასტერსთან აგემა — ერთი ჯგუფურ ეტაპზე, მეორე კი ფინალში.

აგასი რომ ჯადო მეჩოგნა და ასაკისთვის შესაფერის სიბრძნესთან ერთად შეუფერებელი სიმსუბუქით ჩოგნაობს, ეგ არახალი ამბავია. მაგრამ უკვე ადრეც მას შესწევს იმდენი ილაჯი თუ გონიერება, ფედერერის ზებუნებრივადე მიახლოებული ტალანტი მოაშთოს. ალაბელს არსენალში ყველა სახის საკორტო იარაღი მოემეგება და მნიშვნელობა ადარა აქვს, კალიფორნიულ უდაბნოში იქნება თუ გშტაადურ სივრდილში, მინც ყოვლად უბადლოდ და შეუღარებლად ირჯება. აგასისთან ამ ბოლო განდაგანისას მას სწორედ იმ დროს და იმ დღით მოუმატა, რაიც მატჩში გარდატეხის შესაატანად იყო საჭირო — შებერებულ ფაჯირსაც უბეში ადარანაირი არგუმენტი არ აღმოაჩნდა...

თუმცა უნაკლო არც ეს ალაბელი ყმაწვილი ვახლავთ და ამაზე, სხვათა შორის, მისი და ტიმ ჰენმანის საკარიერო დაპირისპირების ბალანსი ვვამცნობს. ეგებ ვინმეს გადამოწმებაც მოუნდეს, მაგრამ მათი წინა შვიდი შეხვედრისა და ექვსი სწორედ ბრიტანელს მოუგია და ის ერთიც, 2002 წლის მაიამობაზე, ოდენ კისრის ტრაგემის გამო დაუთმო. ჩანს, როჯერმა ჯერაც ვერ აულო ალო ჰენმანის, საჩოგნეთში ლამის ანტიკვარიატად დამშთარ სტილს. ვნახთ, ეგებ გუშამ მინც მოერგო.


## ქალები

### ნახევარფინალი

**შუსტინე პენა-ბრადონი (1, ბელგია)** — ანსტასია მისკინა (4, რუსეთი) 6:1, 6:4; **ლინდსი დე-პენაორტი (3, აშშ)** — ნატალი დეში (19, საფრანგეთი) 6:2, 7:6 (7:4)

ლინდსი დეპენაორტი თავის მეხუთე ინდიანუელსურ ფინალს უწია. როგორც დაუთრები გვაგონებს — 27 წლის კალიფორნიელს იქ 1997, 2000 წლებში უმარჯვია, 1998, 2003 წლებში კი ძლეულა. რაც შეეხება ჟუსტინ ენეს, ის რაც ლინდსის მეხუთე იქაური ფინალია, მისთვის მეოთხე საამსეზონო ფინალს წარმოადგენს. თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ — ამქრის ჭინკა პირველსანს გუშინდლამდე უკვე სამი (ავსტრალიის ღია პირველობის, სიდნეური და დუბაური) ტიტულების მოგება მოესწრო.

ლევან კელაშაძე



REUTERS ინფოან უელსინიდან

# ნუთუ ეს მართალია?! ირაკლი ლაბაძის ცხადი სიზმარი

ირაკლი ლაბაძის მოულოდნელმა გაბრწყინებამ ტურნირზე, რანგით მხოლოდ დიდი სლემის ოთხეულს რომ ჩამოუვარდება, მიღეთში მისით ცხოველი დაინტერესება გამოიწვია. აქ წარმოგიდგენთ ინტერვიუს, რომელიც ქართველ მეჩოგნეს ჩვენმა დასავლელმა კოლეგებმა მის მიერ ჯეიმს ბლეივის ძლევის შემდეგ ჩამოართვეს

— თავად თუ გვერათ, რაც ამ კვირის განმავლობაში შეგემთხვათ?

— არა, არ მჯერა. მეშინია, რომ რაღაც მომენტში გამეღვიძება და ისევ პირველ წრეში ვიქნები.

— როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ეს ყველაფერი მინცდამინც ამ კვირაში?

— წარმოდგენა არა მაქვს. ადრე არასოდეს — მართლაც არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ აქ ნახევარფინალში გავაღწევდი. არ ვიცი, რა გიპასუხოთ, სიტყვები არ მყოფნის. ის, რომ კარგად შემიძლია ვითამაშო, ყოველთვის ვიცი. მაგრამ ხშირად თავდაჯერებულობა არ მყოფნის. შეიძლება ზედიზედ ათჯერ პირველივე წრიდან გამოვიდე. მაგრამ მეორე შეიძლება უკვე მეოთხედფინალში მოვხვდე. სხვა ბევრი კარგი მეჩოგნეცა ასე.

— თქვენ ეს-ესაა 106 240 დოლარი მოიგეთ...

— ჰო, ახლა ერთი სული მაქვს ჩემს მანქანას „მოვახტე“ (იღიმება).

— ყველაზე მეტი ადრე რამდენი მოგიგიათ?

— არ მახსოვს, დიდი-დიდი ექვსი-შვიდი დოლარი (იღიმება)... სერიოზულად — ჩემი ყველაზე დიდი ერთბაში მონაგარი 24 ათასი დოლარი უნდა იყოს.

— ეგ სად იყო?

— სანკტ პეტერბურგში. იქ ერთეულებში პირველ წრეში დავმარცხდი, მაგრამ წყვილებში ფინალამდე მივაატანეთ.

— მე ვიცი, რომ თქვენ საქართველოდან ხართ, მაგრამ მინდა, მინც რუსებზე გკითხოთ. რუსი ვოკონები ახლა კარგად თამაშობენ, წინ მიიწევენ, ბიჭები კი აღარ. ამას როგორ ახსნიდით?

— აბა, რა ვითხრათ. რუსებს რამდენიმე კარგი მოთამაშე ჰყავთ, მაგალითად მარატ საფინი, ყოფილი პირველსანი. არ ვიცი, შეიძლება რუსი ბიჭები ცოტა უფრო შლეგები არიან. რატომ? წარმოდგენა არა მაქვს.

— ადრეულ ეტაპზე მეტრეველთან თუ გქონიათ ურთიერთობა?

— დიახ, ორი წლის წინ, ზაფხულის თიხნარობისას, მონტე კარლოსა და კასაბლანკაში ის სამი კვირის განმავლობაში მეხმარებოდა. ისე კი, ის რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე მუშაობს.

— ეროვნული ფედერაცია თუ გეხმარებოდათ ადრეულ ეტაპზე? თუ ყველაფერს თქვენ მხოლოდ თქვენი მიღწევით?

— ფედერაცია ვერ მეხმარებოდა. მე ბედმა გამიღმა, რომ მამაჩემს ცოტადენი ფინანსური

შესაძლებლობა ჰქონდა და მან გარისკა და ეს ფული ჩემში „დააბანდა“. ის ფიქრობდა, რომ მე შეიძლებოდა, კარგი მოთამაშე გამოვსულიყავი და ამიტომ გარისკა ჩვენ ვერმანაში წავიდით, იქ ვეშაღებოდი, ხოლო როცა რამდენიმე ტურნირზე ვიმარჯვე, საბნსორებიც გამოჩნდნენ. ჩვენ ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გვყავს, მაგრამ სწორედ უფულობის გამო ისინი ვერ ახერხებენ მოგზაურობას და თქვენც არავითარი წარმოდგენა არ გაქვთ მათ შესახებ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ინდიან უელსში თქვენი წარმატებული გამოსვლით ქართული ჩოგბურთის განვითარებას რამენაირად შეეწვევით?

— იმედი მაქვს, რომ — კი. ეს უწინარესად ინტერესის გაღვივებას გამოიწვევს.

— რომელი სასკოლო საგნები გიყვარდათ ყველაზე მეტად?

— მათემატიკა და გეოგრაფია. დანარჩენი საგნები მძულდა.

— თამაში როდის დაიწყეთ?

— საჩოგბურთო კლუბში პირველად რომ მივედი, სადაც შეიღის ან ექვსწლიანახევრის ვიყავი. თუმცა სახლში ბურთით უკვე სამი, ოთხი წლიდან ვთამაშობდი.

— კორტზე ექსპანსიური ხართ, ცდილობთ, თქვენი ემოციები თქვენშივე არ ჩაახშოთ.

— დიახ, მიყვარს გართობა. სულ სერიოზულად ყოფნა ცოტა მოსაწყენი უნდა იყოს. ვფიქრობ, ეს ხალხსაც მოსწონს. აბა, რობოტივით ხომ არ უნდა იყო.

— როგორ ფიქრობთ, ბლეიკს სულ რატომ უგებთ?

— არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ ის ამერიკელია (იცინის). ცხადია, ვხუმრობ. ისე კი, ვერ გიპასუხებთ, ალბათ მას უკეთ ეცოდინება.

— ბოლო გათამაშება რომ მორჩა, რა იყო პირველი, რაც თავში მოგივიდათ?

— გარკვევით არც მახსოვს... „ნუთუ ეს მართლა ხდება-მეთქი“, მგონი ეს ვავიფიქრე. ძალიან ბედნიერი ვიყავი, არაფრის კეთება არ შემეძლო, ვერც კი ვლაპარაკობდი.

— ადრე სპორტის სხვა სახეობებს თუ მისდევდით?

— ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდი ხოლმე. როცა ამერიკაში ჩამოვედი, 16-17 წლის ვიყავი და ხშირად კალათბურთითაც ვერთობოდი. მოგეხსენებათ, აქ კალათბურთის გარეშე წარმოუდგენელია. სხვა არაფერი, თუ ჭადრაკს არ ჩავთვლით, თუმცა ჭადრაკი ალბათ სპორტზე მეტი უნდა იყოს.



# გილენის სიხილი

ბრაზილიის ქალ ფეხბურთელთა ნაკრები ათენის ოლიმპიადისთვის ემზადება. თუკი ვინმე იცნობს, ეს ვაცინებული ვოვო მილენ დომინგუსი ვახლავთ, თავადაც ფეხბურთელი და რონალდოს ყოფილი ცოლი. ნაკრები ტურნამენტისში ემზადება.



REUTERS როი დე ვანდერვორდან


REUTERS ვალენსიიდან



ეროვნული გიგლიოტიკა


# სტუდენტური ომები

ამერიკაში მთელი ამბით მიმდინარეობს სტუდენტური კალათბურთის ვადამწყვეტი თამაშები. გონზავას უნივერსიტეტი ვალბარაისოს ებრძვის. მისი მოთამაშეები კორი ვაიოლეტი და ბლეიკ სტეპი ცდილობენ, მსაჯის სასტვენის შემდეგ მაინც გამოვლიჯონ ბურთი მეტოქე მიგელ ალი ბარდიელს.



# ელ კალიფა ყურებით

ვალენსიაში „ფალასის“ ფესტივალი დაიწყო — ხარებთან დიდი ბრძოლები. ჩაუქი ტორერო სოსე პანკო, მეტსახელად „ელ კალიფა“ თავის მორიგ ხარს კლავს. ხარის ყურები კი უპირველესი ჯილდოა მატადორისთვის.



REUTERS ათენიდან

# მზადება

ეს კანადელი ტანმოვარჯიშის, მელანი ბენვილის ხელებია. ახლა ათენში ბევრი წინასათლიმბიადო ტურნირი მიმდინარეობს, უკვე მზადმყოფ დარბაზთა მოთვლვა და შეგუება. ტანმოვარჯიშენი ახალ ჭერქვეშ შეკრებილან. აქ ოლიმპიადის დროს ტანვარჯიშისა და კალათბურთის შეჯიბრებები ჩატარდება.

**სარბიელი**  
საორბული გახეთი  
გააოიცივაა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გააოიცივის ორზაბათს,  
საგზაბათს, ოთხზაბათს,  
ხუთზაბათს,  
პარასკეპს ღა შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳოცხვერია  
დირექტორი გიორგი ოქროშქვილიძე  
რედაქტორი თაბაჯ მიბრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბეღიაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შვალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბეგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საჳოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საჳოსტო  
ჳუთი 208. ტელეჳონი: 39 48 29  
ელექტრონული ᳱოსტა  
sarbliel@gol.ge  
ელექტრონული ჳირსია  
http://www.sarbliel.com.ge